საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-171

ქ. თბილისი "23" 04 2010 წ.

შ.პ.ს „საქართველოს რკინიგზა"-ს „ქ. თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის" საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №21 22.04.2010წ ქ. თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობაზე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. შ.პ.ს „საქართველოს რკინიგზა"-მ უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შ.პ.ს „საქართველოს რკინიგზა"-ს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შ.პ.ს „საქართველოს რკინიგზა"-ს განცხადებები; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №21 22.04.2010წ და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გოჩა მამაცაშვილი
მინისტრის პირველი მოადგილე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, საქართველოს შ.პ.ს „საქართველოს რკინიგზა"-ს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № ი-51

ქ. თბილისი "03" "02" 2011წ.

„შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს „ქ. თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის" საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 23 აპრილის №ი-171 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის, 60[1] მუხლის პირველი ნაწილისა და 62-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს „ქ. თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის" საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 23 აპრილის №ი-171 ბრძანებით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის 2010 წლის 22 აპრილის №21 დასკვნის III თავის (პირობები) მე-5 პუნქტი ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს ხელმძღვანელობა ვალდებულია გარემოს ეკოლოგიური წონასწორობისა და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების შენარჩუნების, აგრეთვე ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებზე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად ადამიანისა და ცხოველისათვის საშიში ზოოანთროპონოზული საერთო ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, რკინიგზის ტრასაზე მშენებლობის დაწყებამდე ჩაატაროს ლანდშაფტურ-ეპიზოოტოლოგიურ-ეკოლოგიური მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები; იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება, რომ ტრასა გადის ცხოველთა სამარხებზე უზრუნველყოს ტრასის შეცვლა და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლა;"

2. ბრძანება გაეგზავნოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს.

3. ბრძანება ღიად განთავსდეს სამინისტროს შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას (სამინისტროს საინფორმაციო დაფაზე).

4. ბრძანება ძალაშია მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში – საქართველოს მთავრობაში (ქ.თბილისი, ინგოროყვას ქუჩა№7) საჩივრის წარდგენის გზით, ამ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის დიმიტრი ხარაიშვილის 2011 წლის 3 თებერვლის №02-09/38 მოხსენებითი ბარათი და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ ადამიას 2011 წლის 3 თებერვლის №03-02/64 მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზა“-ს.